ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

N(N)LE Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

№ _____ 24.01 - 2022 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება N17-ს

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2021 - 2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიებისა და პროცესის ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-9 მუხლის; ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის; უნივერსიტეტის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" 22-ე მუხლის; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა (სკოლების დეკანების - პაპუნა გურულისა და ლევან ქისტაურის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2021 - 2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში უნივერსიტეტში შიდა მობილობისთვის:

ა) გამოცხადდეს ვაკანსიები დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) განისაზღვროს პროცესის ადმინისტრირებისთვის ვადები დანართი N2-ის შესაბამისად;

გ) დადგინდეს შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N3-ის შესაბამისად.

2. დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს, ენების ცენტრს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ირაკლი ბრაჭული

შიდა მობილობისთვის განსაზღვრული ვაკანტური ადგილები:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში

ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ა.ა) სამართალი - 30 **ადგილი;**

ა.ბ) ისტორია - 20 **ადგილი;**

ა.გ) ქართული ფილოლოგია - 20 **ადგილი;**

ა.დ) საერთაშორისო ურთიერთობები - 30 ადგილი;

ბ) ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზა

ბ.ა) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა)- 40 **ადგილი;**

ბ.ბ) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქართული, როგორც მეორე ენა) - 40 **ადგილი;**

გ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე

გ.ა) სამართალი - 10 **ადგილი;**

გ.ბ) საქართველოს ისტორია - 10 **ადგილი;**

გ.გ) ქართული ფილოლოგია - 10 **ადგილი;**

გდ) საჯარო მმართველობა - 10 **ადგილი;**

1. **ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში**

ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ა.ა) ბიზნესის ადმინისტრირება - 10 **ადგილი;**

ა.ბ) ტურიზმის ბიზნესი - 10 **ადგილი;**

ა.გ) ფსიქოლოგია - 10 **ადგილი;**

ა.ე) კომპიუტერული მეცნიერება - 10 **ადგილი;**

ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე

ბ.ა) ბიზნესის ადმინისტრირება - 10 **ადგილი;**

ბ.ბ) სოციალური და განწყობის ფსიქოლოგია - 10 **ადგილი;**

შენიშვნა: შიდა მობილობის განხორციელების შემთხვევაში სტუდენტებს სწავლის წლიური საფასური განესაზღვრებათ მოცემულ პროგრამისთვის შესაბამისი დადგენილი ოდენობით, კერძოდ:

ა) ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე, გარდა სამართლის, საჯარო მმართველობის და სოციალური და განწყობის ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისა შეადგენს 2250 **ლარს**, ხოლო პროგრამებზე:

ა.ა) სამართალი - 2990 **ლარს**;

ა.ბ) საჯარო მმართველობა - 2750 **ლარს**;

ა.გ) სოციალური და განწყობის ფსიქოლოგია - 2500 **ლარს**;

ბ) 2021- 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულთა მიერ შიდა მობილობის განხორციელების შემთხვევაში სტუდენტებს სწავლის საფასური განესაზღვრებათ უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2021 წლის 5 აგვისტოს №18 ბრძანებით 'ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021– 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხულთათვის ერთჯერადი საშეღავათო პირობების განსაზღვრის შესახებ" პირობების გათვალისწინებით.

შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირების ვადები:

ა) შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) – 2022წლის 7 – 21 თებერვალი;

ბ) კრედიტების აღიარების კომისიების მუშაობა და დასკვნების მომზადება, ,სტუდენტების ინფორმირება აღიარებული კრედიტების თაობაზე და მათი თანხმობის/უარის წერილობითი დადასტურება- 2022 წლის 8 – 22 თებერვალი;

გ) დეკანატებისა და აღიარების კომისიების მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა მობილობის ფარგლებში მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მოსამზადებლად - 2022 წლის 23 თებერვალი;

დ) შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების/ბრძანებების პროექტის/პროექტების მომზადება და გამოცემა - 2022 წლის 25თებერვალი.

შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება (შემოთავაზებული ფორმით););

ბ) სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან მისი ამონაწერი (შესაბამისი დეკანატის მიერ დამოწმებული);